ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲢᲔᲡᲢᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲨᲘ

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ

თქვენს წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი შედგება ორი ნაწილისაგან: I მოსმენის ნაწილი; II დახურული და ღია დავალებები, რომელიც მოსასმენი მასალის გარეშეა წარმოდგენილი.

მოსმენის ნაწილისათვის გამოყოფილია განსაზღვრული დრო. ტესტის ელექტრონულ ბუკლეტში თითოეული დავალების შესაბამის ინსტრუქციაში მითითებულია დავალების შესრულებისათვის განკუთვნილი კონკრეტული დრო.

დარჩენილი დრო თქვენი შეხედულებისამებრ გადაანაწილეთ ტესტის II ნაწილის დავალებებზე.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I მოსმენის ნაწილი

მოსმენის ნაწილი აერთიანებს ათ დავალებას.

დავალებები № 1- 6.

<u>ინსტრუქცია</u>. პირველი ექვსი დავალებიდან თითოეული შედგება ერთი მუსიკალური ფრაგმენტისა და ორი კითხვისაგან. ყოველ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. აირჩიეთ პასუხი და X ნიშნით მონიშნეთ შესაბამისი უჯრა პასუხების ფურცელზე. სწორი პასუხი ფასდება ერთი ქულით, შესაბამისად, თითოეული დავალება - ორი ქულით.

დავალებისათვის განკუთვნილ მუსიკალურ ფრაგმენტს მოისმენთ ორჯერ. პირველსა და მეორე მოსმენას შორის ინტერვალი 20 წამია. ფრაგმენტის მოსმენამდე გეძლევათ 10 წამი კითხვების წასაკითხად.

დავალებები მოცემულია მომდევნო გვერდიდან.

(2) **დავალება № 1.**

პირველი მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

1.1 საქართველოს რომელი კუთხის სიმღერაა?

ა) აჭარის;

ბ) კახეთის;

გ) იმერეთის;

დ) გურიის.

1.2 რომელ ჟანრს განეკუთვნება სიმღერა?

ა) სატრფიალოს;

ბ) ლაშქრულს;

გ) სუფრულს;

დ) შრომის.

(2) **დავალება № 2.**

მეორე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

2.1 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) მელიტონ ბალანჩივაძე;

ბ) დიმიტრი არაყიშვილი;

გ) ვიქტორ დოლიძე;

დ) ზაქარია ფალიაშვილი.

2.2 რომელი ინსტრუმენტული შემადგენლობა ასრულებს ფრაგმენტს?

ა) კამერულ-ინსტრუმენტული ანსამბლი;

ბ) ხის ჩასაბერ საკრავთა ორკესტრი;

გ) სიმფონიური ორკესტრი;

დ) სიმებიან-ხემიან საკრავთა ორკესტრი.

(2) **დავალება № 3.**

მესამე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

3.1 ვინ არის კომპოზიტორი?

ა) იოჰანეს ბრამსი;

ბ) რობერტ შუმანი;

გ) ფელიქს მენდელსონი;

დ) ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი.

3.2 რა ჟანრის ნაწარმოებია?

ა) სიმფონია;

ბ) კონცერტი;

გ) სონატა;

დ) უვერტიურა.

(2) **დავალება № 4.**

მეოთხე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

4.1 რომელ მიმდინარეობას ან ეპოქას ეკუთვნის ნაწარმოები?

ა) კლასიციზმს;

ბ) ბაროკოს;

გ) იმპრესიონიზმს;

დ) რომანტიზმს.

4.2 რომელი საოპერო ხმით სრულდება ფრაგმენტი?

ა) სოპრანო;

ბ) მეცო სოპრანო;

გ) კონტრალტო;

დ) კოლორატურული სოპრანო.

(2) **დავალება № 5.**

მეხუთე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

5.1 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) ჟან ფილიპ რამო;

ბ) იოჰან სებასტიან ბახი;

გ) ლუი კლოდ დაკენი;

დ) გეორგ ფრიდრიხ ჰენდელი.

5.2 სიუიტის რომელ ცეკვას წარმოადგენს მოსმენილი ფრაგმენტი?

ა) სარაბანდა;

ბ) ჟიგა;

გ) ალემანდა;

დ) კურანტა.

(2) **დავალება № 6.**

მეექვსე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

6.1 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) არნოლდ შონბერგი;

ბ) ოტორინო რესპიგი;

გ) კარლ ორფი;

დ) ოლივიე მესიანი.

6.2 რა ჟანრის ნაწარმოებიდან არის ფრაგმენტი?

ა) მესიდან;

ბ) კანტატიდან;

გ) ოპერეტიდან;

დ) მიუზიკლიდან.

(1) **დავალება № 7.**

<u>ინსტრუქცია</u>. მოუსმინეთ მუსიკალურ ბგერათა რიგს. სანოტო ჩანაწერში მოცემულ კილოთა ოთხი ვარიანტიდან შეარჩიეთ მოსმენილის შესატყვისი ვარიანტი და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. ბგერათა რიგს მოისმენთ ორჯერ. მოსმენამდე გეძლევათ 5 წამი, რათა გადახედოთ სანოტო ჩანაწერს:



(1) **დავალება № 8.**

<u>ინსტრუქცია</u>. მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაზას. სანოტო ჩანაწერში მოცემული ოთხი განსხვავებული რიტმული ფიგურაციიდან შეარჩიეთ მოსმენილის შესატყვისი ვარიანტი და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. მუსიკალურ ფრაზას მოისმენთ ორჯერ. მოსმენამდე გეძლევათ 5 წამი, რათა გადახედოთ სანოტო ჩანაწერს:



(5) **დავალება № 9.**
მელოდიური კარნახი.

<u>ინსტრუქცია</u>. მოუსმინეთ მელოდიას და ჩაწერეთ სანოტო სისტემაში. მელოდია ერთხმიანი, რვატაქტიანი და ერთტონალურია. მელოდიის მოსმენისა და ჩაწერისათვის გეძლევათ 15 წუთი. მელოდიას ისმენთ აუდიოჩანაწერში ხუთჯერ; მოსმენებს შორის ორწუთიანი ინტერვალია.

კარნახი მოცემულია ტონალობაში - *<u>რე მაჟორი D dur</u>*

<u>თქვენ მიერ ჩაწერილი მელოდია გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ სანოტო სისტემაში კალმით</u>.

(13) **დავალება № 10.**

მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი.

<u>ინსტრუქცია</u>. გააანალიზეთ მუსიკალური ნაწარმოები აუდიო და სანოტო ჩანაწერების საფუძველზე. ნაწარმოებს მოისმენთ სამჯერ, მოსმენებს შორის ორწუთიანი ინტერვალით. ჩანაწერის მოსმენამდე გეძლევათ 30 წამი, რათა გადახედოთ დავალების კითხვებს.

კითხვები იხილეთ მომდევნო ორ გვერდზე.

(2) 1. რა ჟანრს ეკუთვნის მოცემული ნაწარმოები? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

(3) 2. დაადგინეთ:

ა) ნაწარმოების ტონალობა;

ბ) ნაწარმოების მუსიკალური ფორმა;

გ) ნაწარმოების 63-66-ე ტაქტებში მოცემულ საკადანსო ბრუნვაში შემავალი აკორდების ჰარმონიული ფუნქციები.

(3) 3. დაახასიათეთ, თუ როგორ ვითარდება ნაწარმოები მხატვრულ-ემოციური თვალსაზრისით; გააანალიზეთ და აღწერეთ მუსიკის გამომსახველობის ხერხები (როგორი სახის მელოდია, რიტმი, ტემპი, რეგისტრი, ჰარმონია, კილო-ტონალობა, ფაქტურა და ა. შ.), რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მუსიკალურ-მხატვრული შინაარსის შექმნისათვის.

(2) **4.** მოსმენილი ნაწარმოების მუსიკალური მახასიათებლების საფუძველზე, დაადგინეთ კომპოზიტორი და მიმდინარეობა, რომელსაც იგი ეკუთვნის.

(3) **5.** დაახასიათეთ კომპოზიტორის შემოქმედება და აღნიშნეთ, რა სიახლე შეიტანა მან მუსიკის სფეროში. განიხილეთ მოსმენილი ნაწარმოები ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით; განსაზღვრეთ კომპოზიტორის შემოქმედებაში იმ ჟანრის მნიშვნელობა, რომელსაც მიეკუთვნება ნაწარმოები.

მუსიკალური ნაწარმოების სანოტო ჩანაწერი იხილეთ მომდევნო გვერდებზე.


Andante très expressif
pp
con sordina
5
9


12
Tempo rubato
15
pp
peu a peu cresc. et animé
18


21
24
dim. molto
Un poco mosso
pp
27


29
31
p
p
33


cresc.
85
En animant
87
più cresc.
89


41
f
2
dim.
Calmato
48
pp
45


47
49
a Tempo I
8va
51
ppp


(8va)
58
55
57


59
pp
62
2
pp
morendo jasqu'à la fin
66


68
70

II ნაწილი

დავალებები № 11-28.

<u>ინსტრუქცია</u>. თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრაში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

(1) **დავალება № 11.**

რომელი პოეტის ლექსი დაედო საფუძვლად კიაზოს არიას ოპერა „დაისის“ მეორე მოქმედებიდან?

ა) ილია ჭავჭავაძის;

ბ) შოთა რუსთაველის;

გ) აკაკი წერეთლის;

დ) ნიკოლოზ ბარათაშვილის.

(1) **დავალება № 12.**

რა *<u>არ ახასიათებს</u>* ორატორიის ჟანრს?

ა) საანსამბლო სიმღერა;

ბ) საორკესტრო მუსიკა;

გ) თეატრალური დადგმა;

დ) საგუნდო სიმღერა.

(1) **დავალება № 13.**

რა ეწოდება მუსიკაში მრავალხმიან ფაქტურას, რომლის თითოეული ხმა დამოუკიდებელი და თანაბარმნიშვნელოვანია?

ა) აკორდული;

ბ) ჰომოფონიური;

გ) პოლიფონიური;

დ) მონოდიური.

(1) **დავალება № 14.**

მუსიკალური განვითარების რომელი ხერხი უდევს საფუძვლად ეიტორ ვილა-ლობოსის „ბრაზილიურ ბახიანებს“?

ა) იმიტაცია;

ბ) კოლაჟი;

გ) სტილიზაცია;

დ) ციტატა.

(1) **დავალება № 15.**

რომელ ოპერაში მიმდინარეობს მოქმედება ესპანეთში?

ა) „ტურანდოტში“;

ბ) „რიგოლეტოში“;

გ) „ფიგაროს ქორწინებაში“;

დ) „ლოენგრინში“.

(1) **დავალება № 16.**

რა ეწოდება მუსიკალურ ინსტრუმენტზე ერთი ბგერიდან მეორე ბგერისაკენ თითების სწრაფი გასრიალებით ხმოვანების მიღების ხერხს?

ა) ტრემოლო;

ბ) ფლაჟოლეტი;

გ) სტაკატო;

დ) გლისანდო.

(1) **დავალება № 17.**

რომელი ჟანრი ***<u>არ გვხვდება</u>*** **ევროპული რენესანსის ეპოქის მუსიკაში?**

ა) მადრიგალი;

ბ) მესა;

გ) ორატორია;

დ) მოტეტი.

(1) **დავალება № 18.**

რომელი მუსიკალური ტერმინი აღნიშნავს ტემპის აჩქარებას?

ა) Ritardando;

ბ) Accelerando;

გ) Diminuendo;

დ) Crescendo.

(1) **დავალება № 19.**

რომელი ოპერის საორკესტრო შესავალი *<u>არ არის</u>* დაკავშირებული ოპერასთან მუსიკალური თემებით?

ა) კარლ ვებერის „თავისუფალი მსროლელის“;

ბ) ჟორჟ ბიზეს „კარმენის“;

გ) ჯოაკინო როსინის „სევილიელი დალაქის“;

დ) ჯუზეპე ვერდის „აიდას“.

(1) **დავალება № 20.**

რომელი ჟანრი *<u>არ არის</u>* წარმოდგენილი იოჰანეს ბრამსის შემოქმედებაში?

ა) ოპერა;

ბ) სერენადა;

გ) უვერტიურა;

დ) სიმფონია.

(1) **დავალება № 21.**

რომელი მუსიკალური ინსტრუმენტი შეიტანა სიმფონიაში ლუდვიგ ვან ბეთჰოვენმა, პირველმა ვენის კლასიკოსებს შორის?

ა) ტრომბონი;

ბ) კლარნეტი;

გ) ვალტორნა;

დ) ჰობოი.

(1) **დავალება № 22.**

რომელმა კომპოზიტორმა შექმნა მუსიკა სპექტაკლებისათვის: „ხანუმა“, „მეფე ლირი“, „კავკასიური ცარცის წრე“?

ა) გია ყანჩელმა;

ბ) ჯანსუღ კახიძემ;

გ) გიორგი ცაბაძემ;

დ) ბიძინა კვერნაძემ.

(1) **დავალება № 23.**

რა ეწოდება კონცერტის ჟანრის ვირტუოზულ ეპიზოდს, სადაც სოლისტი ასრულებს მუსიკას ორკესტრის აკომპანემენტის გარეშე?

ა) რეპრიზა;

ბ) კადენცია;

გ) ფანტაზია;

დ) დამუშავება.

(1) **დავალება № 24.**

რომელი კომპოზიტორი წერდა ლიბრეტოს საკუთარი ოპერებისათვის?

ა) ქრისტოფ გლუკი;

ბ) ჯუზეპე ვერდი;

გ) რიხარდ ვაგნერი;

დ) ჯოვანი ბატისტა პერგოლეზი.

(1) **დავალება № 25.**

ბაროკოს ეპოქაში რომელი მუსიკალური ჟანრი იყო განკუთვნილი ფუგისათვის, როგორც შესავალი?

ა) პრელუდია;

ბ) უვერტიურა;

გ) კანცონა;

დ) სონატა.

(1) **დავალება № 26.**

რომელ ჟანრს მიეკუთვნება ჟაკ ოფენბახის „ორფევსი ქვესკნელში“?

ა) ოპერეტის;

ბ) ვოდევილის;

გ) ოპერის;

დ) მიუზიკლის.

(1) **დავალება № 27.**

რომელ მუსიკალურ ფორმას მიეკუთვნება რეფრენი?

ა) ვარიაციულს;

ბ) რონდოს;

გ) მარტივ სამნაწილიანს;

დ) სონატურს.

(1) **დავალება № 28.**

ვისი ნაწარმოების საფუძველზე შეიქმნა ფელიქს მენდელსონის უვერტიურა „ზაფხულის ღამის სიზმარი“?

ა) იოჰან ვოლფგანგ გოეთეს;

ბ) უილიამ შექსპირის;

გ) ფრიდრიხ შილერის;

დ) ჯორჯ ბაირონის.

დავალებები № 29 - 32.

ნოტიდან აგება

<u>ინსტრუქცია</u>. **ააგეთ და პასუხების ფურცელზე მოცემულ სანოტო სისტემაში ჩაწერეთ: ინტერვალი, აკორდები და კილო <u>*დო დიეზ*</u> ნოტიდან.**

(1) 29. პატარა სექსტა;

(1) 30. მაჟორული სექსტაკორდი;

(1) 31. მცირე მაჟორული სეპტაკორდი;

(1) 32. მელოდიური მინორი.

დავალებები № 33 - 35.

შესაბამისობის დადგენა

<u>ინსტრუქცია</u>. დავალებაში მოცემულია ჩამონათვალის ორი სვეტი. დაადგინეთ შესაბამისობა მათ შორის. მარცხენა სვეტის თითოეულ მონაცემს (1, 2, 3) შეესაბამება მარჯვენა სვეტის *<u>მხოლოდ ერთი</u>* მონაცემი (ა, ბ, გ, დ, ე). ყოველი შერჩეული შესაბამისობა X ნიშნით მონიშნეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

(3) **დავალება № 33.**

დაადგინეთ შესაბამისობა კომპოზიტორებსა და მუსიკალურ ნაწარმოებებს შორის:

1. შალვა მშველიძე	ა) სიმფონია N 5 „ფიროსმანი“
2. დავით თორაძე	ბ) რომანსი „მე შენ გელი“
3. მელიტონ ბალანჩივაძე	გ) ოპერა „დარეჯან ცბიერი“
	დ) ბალეტი „გორდა“
	ე) სიმფონიური პოემა „ზვიადაური“

(3) **დავალება № 34.**

დაადგინეთ შესაბამისობა ქართულ კინოფილმებსა და მათი მუსიკის ავტორებს შორის:

1. „მიმინო“	ა) რევაზ ლაღიძე
2. „ჯარისკაცის მამა“	ბ) გია ყანჩელი
3. „საბუდარელი ჭაბუკი“	გ) ბიძინა კვერნაძე
	დ) ნოდარ გაბუნია
	ე) სულხან ცინცაძე

(3) **დავალება № 35.**

დაადგინეთ შესაბამისობა კომპოზიტორებსა და იმ მიმდინარეობებს ან ეპოქებს შორის, რომლებშიც ისინი მოღვაწეობდნენ:

1. ანტონიო ვივალდი	ა) კლასიციზმი
2. ფრედერიკ შოპენი	ბ) ბაროკო
3. იოზეფ ჰაიდნი	გ) რენესანსი
	დ) რომანტიზმი
	ე) შუა საუკუნეები

დავალებები № 36–40.

„ჭეშმარიტია - მცდარია“

<u>ინსტრუქცია</u>. განსაზღვრეთ, ჭეშმარიტია თუ მცდარი მოცემული დებულება; თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, შესაბამისი უჯრა X ნიშნით მონიშნეთ; ასეთ შემთხვევაში კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ; *<u>თუკი ჩათვლით, რომ დებულება მცდარია, მაშინ შესაბამისი უჯრა მონიშნეთ X ნიშნით და გამოყოფილ არეში ჩაწერეთ სწორი განმარტება.</u>*

მცდარი დებულების შემთხვევაში, შეგიძლიათ, როგორც მოცემულ განმარტებას შეუსაბამოთ სწორი ტერმინი/სიტყვა, ისე მოცემული ტერმინის/სიტყვისათვის დაწეროთ სწორი განმარტება. <u>გაითვალისწინეთ</u>, რომ პასუხი იმ შემთხვევაში არ მიიღება, თუ მოცემული განმარტების დადებით ფორმას შეცვლით უარყოფითით ან პირიქით. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

(1) **დავალება № 36.**

კავატინა საოპერო ჟანრის ინსტრუმენტული ფორმაა.

(1) **დავალება № 37.**

„Tranquillo“ მუსიკალური დინამიკის გამომსახველი ტერმინია.

(1) **დავალება № 38.**

ანტიფონი ეწოდება ორი გუნდის მონაცვლეობით გალობას.

(1) **დავალება № 39.**

არპეჯიო მუსიკალური ტერმინია, რომელიც ნიშნავს სიმებიან-ხემიან ინსტრუმენტზე სიმის თითის გამოკვრით შესრულებას.

(1) **დავალება № 40.**

სიმფონიური პოემა არის პოეტურ ტექსტზე დაფუძნებული ვოკალურ-ინსტრუმენტული ციკლი.

დავალებები № 41 – 42.

ქრონოლოგიის დადგენა

<u>ინსტრუქცია</u>. დაალაგეთ ჩამონათვალი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით (უძველესიდან უახლესისაკენ). პასუხების ფურცელზე მოთავსებულ ცხრილში ქრონოლოგიური თანმიმდევრობა აღნიშნულია ციფრებით 1-დან 4-მდე. ცხრილის უჯრებში აღნიშნული ციფრების ქვემოთ ჩაწერეთ სწორი პასუხები ანბანის შესაბამისი ასოებით (ა, ბ, გ, დ). თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

(1) **დავალება № 41.**

დაალაგეთ ქრონოლოგიურად სიმფონიური ნაწარმოებები, მათი შექმნის პერიოდის მიხედვით:

ა) სიმფონიური სიუიტა „შეხერაზადა“;

ბ) „დაუმთავრებელი“ სიმფონია;

გ) სიმფონიური პიესა „პასიფიკ 231“;

დ) „გმირული“ სიმფონია.

(1) **დავალება № 42.**

დაალაგეთ ბალეტების ჩამონათვალი ქრონოლოგიურად, მათი შექმნის პერიოდის მიხედვით:

ა) „მაკნატუნა“;

ბ) „რომეო და ჯულიეტა“;

გ) „ფასკუნჯი“;

დ) „ყიზელი“.